საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია. ფასი 2 მანეთი

შაბათი, 1 ნოემბერი 1919 წ. № 190.

# ჩვენი ქვეყანა

რ ე დ ა ქ ც ი ა

**საგაზეთო მასალა** უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

**რედაქცია ღიაა:** დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

კ ა ნ ტ ო რ ა

**გაზეთის ფასი:** ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 50 მ., 12 საათის შემდეგ 70 მ.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...მარი ივლიანე (ქიჭიკო) ალექსანდრეს ძე გელოვანი, დედა ...ნა ლორთქიფანიძისა ძმა ციცერონ ლორთქიფანიძე, დები: ...ლენტინა, ნადეჟდა და ელენე ლორთქიფანიძის ასულები, ...ძეები: ვანო ხოჯევანოვი, არსენ ცანავა და ხუჭუჭი ჩხოტუა, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ...აბათს, 1 ნოემბერს საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

## ...ულა დარისპან ლორთქიფანიძის ასულის გელოვანისა

...ულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. პანაშვიდი 12 საათზე. 2—2

...რმათ დამწუხრებულნი მეუღლე ზინაიდა ნიკოლოზის ასული ...შვილებით: ქეთო, იოსები, გრიშა, პეტრე და საშა ძმები ფილიპე და ბარნაბა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ კვირას 2 ნოემბერს, მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება 6 თვის წირვა და პანაშვიდი

## მაქსიმე იოსების ძე მახარაძის

სულის მოსახსენებლად. 1—1

...ვირას 2 ნოემბერს დილით ათ საათზე საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულთ

## ტარიელ რევაზის ძე და დავით ტარიელის ძე კიკიანების

...ულის მოსახსენებლათ, რასაც გულ დათუთქულნი ცოლი ტარიელის და დედა დავითისა ანნა ფირანის ასული ქალიშვილებით, ცოლი დავითის ეკატერინა ასლანის ასული შვილებით კიკიანები და სიდედრი დავითის ეკატერინა ბუტულაშვილისა შვილებით რასაც აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ. 1—1

...ლთა წრის საბჭო გთხოვთ მობრძანდეთ კვირას, 2 ნოემბერს, ... 11 საათზე, კლასიკური გიმნაზიის შენობაში და დაესწროთ მშობელთა წრის დელეგატების

## საზოგადო კრებას,

...ს განსახილველია წლიური ანგარიშის დამტკიცება, გამგეობის ... არჩევა და სხვა საჭირო კითხვები. თუ ეს პირველი კრება არ შედგა ...მეორე იქნება დანიშნული 9 ნოემბერს, დილის 11 საათზე და იგი ...ება კანონიერად მიუხედავათ წევრთა რაოდენობის გამოცხადებისა. ...რე ცალკე ბარათი მშობელთა წრის საბჭოსაგან არ მოგივათ.

მშობელთა წრის საბჭოს თავმჯდომარე ვ. ჭილაძე.
გიმნაზიის დირექტორი მ. მისაბიშვილი.
მდივანი ა. ჩხეიძე. 2—2

კვირას, 2 ნოემბერს, დილის 10 საათზე, მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი ბანდიტებთან ბრძოლის დროს ტრაგიკულად დაღუპულის

## გიორგი (დუდუკია) ჭუბაბრიას

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ განსვენებულის ხსოვნის პატივისმცემელთ გულდამწვარნი: ბებია ხვარმინო, დეიდა ოლღა, ბიცოლანი მარიამ და ალექსანდრა და ბიძები დავით და სიმონ ავალიანები.

კვირას 2 ნოემბერს (ახ. სტილით) 10 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ მე-4 კურსის სტუდენტის

## ანტოშა ხაზარაძის

სულის მოსახსენებლათ, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დეიდა ნიფადორა გაიოზის ასული და მეუღლე მისი ისიდორე გრიგოლის ძე კვიცარიძეები. 2—1.

კვირას 2 ნოემბერს (ახ. სტილით) 10 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ მე-4 კურსის სტუდენტის

## ანტოშა ხაზარაძის

სულის მოსახსენებლათ, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გულდათუთქულნი მშობლები: გულჩინა გაიოზის ასული და ილარიონ ანტონის ძე ხაზარაძე შვილებითურთ. 2—1.

დასავლეთ-საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მოსწავლე ახალგაზდების ორგანიზაციებს.

**2 ნოემბერს**, კვირას დილის 10 საათზე, ელექტრო თეატრ „რადიუმი"-ს დარბაზში შესდგება ახალგაზდების ორგანიზაციების წარმომადგენლების (სტუდენტების და მოწაფეების)

## ყრილობა

წ ე ს რ ი გ ი:

1. **პროგრამულ საკითხებზე:** მომხსენებლად გამოვლენ ბ-ნი: **ვახილ წერეთელი, ალექსანდრე თორაძე და ტიტე მარგველაშვილი.**
2. საორგანიზაციო საკითხები: მომხსენებელნი ადგილობრივი ორგანიზაციებიდან: პარტიული ორგანიზაციების სტრუქტურა. პარტიული ლიტერატურა და სხვ.

დასასრულ მოხდება არჩევნები დ. ს. ერ.-დემ. პარტიის მოსწავლე ახალგაზდების კომიტეტისა და საკანტროლო კომისიისა.

ყრილობის შემადგენლობა: ზესტაფონის, ჭიათურის, საჩხერის, ხარაგოულის, სამტრედიის, ხონის, სენაკის, ზუგდიდის, ლანჩხ-ჰაგანის, აბაშის, ფოთის, ოზურგეთის, ჯიხაიშის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, და ბათომის ორგანიზაციები.

**შენიშვნა:** ქ. ქუთაისის ორგანიზაციის წევრებს ყველას შეუძლია დაესწროს.

2. პროვინციელი ორგანიზაციები აგზავნიან შეძლების დაგვარად.
3. მანდატის მიღება შეიძლება „ჩვენი ქვეყნის"-ს რედაქციაში:

**ყრილობის მომწვევი კომისია.**

## განცხადება.

## იყიდება ბენზინი.

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ქუთაისის ქალაქის გამგეობას ყოველდღე დილის 9—2 საათამდი.

3—1. **გამგეობა.**

**ექიმი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე არდიშვილი** მიიღებს ავათმყოფებს: შინაგან, ბავშვების ქირურგიულ ნაწილებშიც 26-ს ამა ოქტომბრისთვიდგან დილის 10—12 საათამდის ნაფიცი ვექილის ვარლამ ალექსანდრეს ძის არდიშვილის ბინაში, ლევაშოვის ქუჩაზედ. 10—10

## რა უშველის ფულის საქმეს?

ზოგიერთი ეკონომისტი ფიქრობს ინგლისისაგან ოქრო უნდა ვისესხოთ და ქართულ ფულს ფონდად დავუდვათო.

მაგრამ, მაშინ ხომ ხაზინამ ქართული ფული ოქროზე უნდა დაახურდაოს! და მაშასადამე ოქრო ხომ სწრაფად გაჰქრება საქართველოს ბაზარზე და გავა საზღვარგარეთ?!

ცხადია, ოქრო მხოლოდ მაშინ შეგვრჩება ხელში, თუ უქმად დაგდებული იქნება სალაროში, მაგრამ ოქრო ამ პირობით თუნდა ყოფილა და თუნდა არა: ჩვენი ფულის კურსს ვერ გამოაკეთებს.

ოქრო მხოლოდ მაშინ გვიშველი და, მდიდარი ოქროს მადანი რომ გვქონოდა: რამდენი ოქროც უნდა გასულიყო საზღვარ გარეთ, იმდენსავე ახალ ოქროს გამოვუშვებდით ბაზარზე.

მაგრამ ჯერ ეს ბედნიერება გვაკლია.

მაშ ნუ თუ სესხი უნდა უარვყოთ? სესხს მხოლოდ მაშინ ექნებოდა მნიშვნელობა, რომ შეგვძლებოდა იმდენი ძვირფასეულების საქონლის გატანა, რამდენის შემოტანაც გვჭირდება, ე. ი. ნორმალური სავაჭრო ბალანსი გვქონებოდა.

სახელმწიფო ამ შემთხვევაში მოვაჭრესა ჰგავს; მოვაჭრეს ხომ მხოლოდ იმ პირობით შეუძლია გაზარდოს თანხა, თუ ნასესხებ ფულს კეთილად მოიხმარს, ე. ი. თავის ამოიგებინებს და სარგებელს მოაპოებინებს.

მაშ რა გვიშველის? მხოლოდ საქონლის დამზადება და საზღვარ-გარეთ გატანა, ე. ი. მხოლოდ ამშენებლობითი მუშაობა.

სარწყავ არხებს თუ გავიყვანთ და უნაყოფო ველმინდვრებს გავანაყოფიერებთ, ეს გვიშველის.

შავ ქვას თუ მიწის გულიდან ამოვიღებთ და საზღვარ გარეთ გავიტანთ, თუთუნის, აბრეშუმის, ღვინის, ხილის, რძის მოქმედებისა და სხვა სამიწისმოქმედო კულტურის განვითარებას თუ ხელს შევუწყობთ, შუშის, ცემენტის, ტყვიის, ფოლადისა და სხ. წარმოებას თუ შევქნით და სხ., მაშინ აიწევს ფულის კურსი.

მაგრამ ამისთვის საჭიროა შრომის თავისუფლება და მუშათა კავშირების გადამეტებულ უფლებათა შეზღუდვა.

მთავრობამ კი მხოლოდ მასწავლებელთა კავშირების ალაგმვა შესძლო, ფიზიკურ მუშათა კავშირებს კი განუსაზღვრელი უფლება მიანიჭა?

მწარმოებელს უნდა ჰქონდეს უფლება შედარებით უფრო იაფი მუშები დაიქირაოს და უფრო ძვირი მუშები დაითხოვოს. იმავე დროს მთავრობამ შეიარაღებული ძალით უნდა დაიცვას შრომის თავისუფლება.

ასეა ევროპაში, ასე უნდა იყოს აქაც. თვინიერ ამ პირობისა ამშენებლობითი მუშაობა შეუძლებელია.

და, თუ მუშათა კავშირებს ნება ექნებათ მოითხოვონ, რამდენსაც მოისურვებენ, ამას, რასაკვირველია, ის აჯობებს, რომ მოხდეს წარმოების სრული განსაზოგადოება, ე. ი. განხორციელდეს სახელმწიფოებრივი ანუ ბოლშევიკური წარმოება.

დიახ! ვიდრე შრომის თავისუფლებას არ განვახორციელებთ და ამშენებლობით მუშაობას არ შევუდგებით, მანამდის ვალიუტას ვერ შევქნით: პირიქით ფულს დირებულება თანდათან დაეცემა და ბოლოს ნულამდის არ დავა, არარად შეიქნება.

**ვახილ წერეთელი.**

## პრესა.

**მასწავლებელთა მდგომარეობა.**

მასწავლებელთა მდგომარეობა, როგორც სახალხოსი, ისე საშუალო სასწავლებლების, უნუგეშო პირობებში იმყოფება. არც ერთი პროფესიის მოხელეები მატერიალურად ისე ცუდ მდგომარეობაში არ არის, როგორც მასწავლებლები.

მთავრობამ დღემდის ვერ მიაქცია სათანადო ყურადღება მასწავლებლებს, ოდნავათაც ვერ გააუმჯობესა მათი მდგომარეობა, რომ ცხოვრება შესაძლებელი ყოფილიყო.

თვით მასწავლებლები კი ეწეოდენ კულტურულ მუშაობას და დუმილით ელოდებოდენ სახალხო განათლების სამინისტროს „მოწყალებას“.

მაგრამ უკანასკნელ ხანებში მასწავლებლებმაც ამოიღეს ხმა, შეკავშირდენ და მთავრობას მოსთხოვეს: — შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომ სწავლის გაგრძელება შესაძლებელი ყოფილიყო და მასწავლებლებსაც შეძლებოდათ ცხოვრება.

ამ საკითხს „სახალხო საქმე“ ეხება და სწერს: —

„ჩვენ არ შეგვიძლიან მასწავლებელთა მასას ეხლავე არ მივაქციოთ მთელი ჩვენი გულისყური. ეს ხალხი ჩვენი ცხოვრების ყველაზე უფრო ცნობილი ტიპია იმ მხრივ, რომ ისინი პირველები იყვნენ, რომელნიც სოფლად და ქალაქად ეწეოდნენ არა მარტო მასწავლებლობას, არამედ კულტურის ყოველ საქმეს უდგნენ დარაჯად. დაივიწყეთ ჩვენი შემეცნებიდან განსაკუთლებით სახალხო მასწავლებელი და თქვენ ვერსად დაინახავთ ვერც კოოპერატორს, ვერც სამკითხველოს პიონერს, ვერც თეატრის გუშაგს, ვერც სახალხო ბანკს, ვერც პროპაგანდას, აგიტაციას და მთელს სარევოლიუციო მუშაობას, ჩვენი მასწავლებლის ზურგზეა გადასული მთელი ჩვენი კულტურა, ჩვენი პროგრესი და ცივილიზაცია, მაგრამ ეს საძირკველი ჩვენი დემოკრატიული კულტურისა ამ ჟამად ძონძებშია გახვეული, სიყვითლის ფერი დასდებია და მშიერ-მწყურვალი, მოთმინებით აღვსილი განაგრძობს თავის ისტორიულ მისიის შესრულებას: — ხალხის გათვითცნობიერებას, სახელმწიფოს განმტკიცებას, მის დაცვას. მასწავლებელი თავისი შემოქმედებითი როლით უნდა იდგეს ჩვენი ყურადღების უმთავრეს საფეხურებზე, მაგრამ ხელფასის მხრივ სახალხო მასწავლებლობა კერძოდ, ხოლო საერთოდ პედაგოგიის პერსონალი სდგას სახელმწიფოს ყურადღების უმდაბლეს საფეხურზე“.

ჩვენ უნდა აღვნიშნოთ რომ სახელმწიფოს მართველები მეტ ყურადღებას აქცევდენ რომელიმე კარის დარაჯს, ვინემ მასწავლებლებს. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დღეიდან მასწავლებელთა ხმასაც ექნება გასავალი და მათი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნება, რამდენად ეს შესაძლებელია.

# ახალი ამბავი

## ქუთაისი.

**წვრილი ერთეულის არჩევნები.** კურსების თემში წვრილი ერთეულის არჩევნებში ეროვნულ დემოკრატებმა გაიმარჯვეს. **20** ხმოსნიდან გაიყვანეს 14 ხმოსანი, სოც.-დემოკრატებმა 4 და დანარჩენმა პარტიებმა კი თითო. **რიონის თემში** იყო საერთო სია, რომელშიდაც კანდიდატებათ თითქმის ყველა ეროვნულ დემოკრატებია. ამ სიამ მიიღო **564** ხმა. **კიკნაველეთის თემში** პირველმა ნომერმა მიიღო **346** ხმა, მეორემ **184** ხმა და მეხუთემ **104** ხმა.

**ოფირხხეთში.** წვრილი ერთეულის არჩევნები არ შესდგა, რადგან ხალხმა პარტიების გარეშე მოითხოვა არჩევნები.

**ეპიდემიასთან საბრძოლველი ხარჯები.** ქალ. თვითმ. მიერ შედგენილ ცხრილით სამი თვის საერთო ხარჯების ჯამი ეპიდემიასთან საბრძოლველად უდრის ერთ მილიონ **198,100** მ. უბნის ექიმებს და დარაჯებს უფასოთ მიეცემათ ბინა გათბობა და განათება. ფერშლებს ბინა მხოლოდ იმ შემთხვევაში ეძლევათ თუ ავადმყოფებს ბინაზე უქიმებენ.

**ქალაქის თეატრი.** დღეს, შაბათს, 1 ნოემბ. ი. ზარდალიშვილის მონაწილეობით „ქალაქის თეატრში“ წარმოდგენილი იქნება მოლიერის 5 მოქმ. კომ. „ტარტიუფი“. კვირას 2 ნოემბერს იმედაშვილის და ზარდალიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ფ. შილერის 4 მოქმ. პიესა „სამხედრო ბანაკში“.

**კოოპერატივთა კავშირის განყოფილების დახურვა.** საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალურმა კავშირმა გადასწყვიტა დაიხუროს ცენტრალურ კავშირის ქუთაისის განყოფილება რომლის ლიკვიდაცია ს. წერეთელს და პ. თალაკვაძეს მიანდო.

**სახალხო მასწავლებლების საყურადღებოდ.** ქუთაისის სამაზრო ერობის საშკოლო განყოფილება სთხოვს სახალხო მასწავლებლებს და განსაკუთრებით ყოფილ სამრევლო შკოლების მასწავლებლებს მიაწოდონ მას ცნობები ნამსახურობის შესახებ, ხუთწლიურების გამოსაანგარიშებლად.

**საზღვარ გარეთის პასპორტი.** სამაზრო ერობამ და მილიციის უფროსმა შემდეგი მოწერილობა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიიდან: „თანახმად სტამბოლის საქართველოს მისიისაგან მიღებულ ცნობებისა, ქართველები საზღვარ გარეთ შინაური და რუსული პასპორტებით მოგზაურობენ, ამისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარია გაცნობებსთ განკარგულებისათვის ყოველი ქართველი გასული საზღვარ გარეთ ჩვენი პასპორტის აუღებელათ, ვერ მიიღებს ვიზას სტამბოლში და მისთვის მიცემული იქნება პასუხის გებაში“.

**ბუხგალტრის დათხოვა.** ქუთაისის სამაზრო ერობის მოსამსახურეთა კავშირმა მოითხოვა რომ დათხოვნილ იქნეს სამსახურიდან ერობის მთავარი ბუხგალტერი გოგელია, მოსამსახურეებისადმი, უდიერ მოპყრობისადმი.

**ქართული ბონების კურსი** სტამბოლში მანუფაქტურისთვის მოგზაურ ებრაელების გადმოცემით ჩვენი ბონებით 21 თუმნით ყიდულობენ თათრულ ლირას რომლითაც უნდა შეიძინონ მანუფაქტურა და რომელიც 8. მ. და 40 კ. უდრის.

**ქალაქის თვითმართველობის** სასურსათო განყოფილება აცხადებს, რომ ორშაბათიდან, საუბნო სასურსათო კომიტეტების საშვალებით, დაურიგდება მცხოვრებთ სარეცხი საპონი სულზე ნახევარი გირვანქა. გირვანქა 14 მან. და თუთხმეტი შაური.

**მკვლელობა.** სოფ. წყალტუბოს მცხოვრებმა ვალოდია ირაკლის ძე იოსელიანმა როდესაც ის საღამოს 8 საათზე სახლში მთვრალი დაბრუნდა ხანჯლით მოჰკლა ბიძა ნიკოლოზ იოსელიანი. მიზეზი მკვლელობის გამოურკვეველია.

— **ვ. ფალავანდიშვილი.** ქუთაისის სამაზრო ერობის წევრი ვ. ფალავანდიშვილი ამ დღეებში ობჩაში მიემგზავრება საგრონომო პუნქტის დასათვალიერებლად.

**ახალი წიგნი.** დაიბეჭდა და მოკლე ხანში გასაყიდათ გამოვა ბ. ალ. თორაძის წიგნი: „მესარიონ გაბაშვილის ცხოვრება და შემოქმედება“.

დაიბეჭდა აგრეთვე ჯ. ჯორჯიკიას და ალ. თორაძის ფრანგული სახელმძღვანელო.

**ბოლშევიკების შეპყრობა.** ქუთაისში 24-25-26 ოქტომბერს 33 ბოლშევიკი შეიპყრეს რომელიც საგუბერნიო ციხეში მოათავსეს.

**ლატარიის გათამაშება.** ხვალ კვირას 2 ნოემბერს მოხდება პირველი ქართული ლატარიის გათამაშება თბილისის სახაზინო თეატრში. გათამაშებას დაესწრებიან; დამფუძნებელი კრების წევრები, მთავრობის წარმომადგენელნი და სხვა დაწესებულების რწმუნებულნი.

# ეროვნული კაპიტალი.

(ბ-ნ. დ. თოფურიძის წერილის გამო) იხ. ბორბას 29 №.

საქართველოს რესპუბლიკა, რომ ფინანსიური მდგომარეობით არაა სანუგეშო და საშინელი საფრთხის წინაშე სდგას, ამაში ეჭვი არავის ეპარება,

**დამოუკიდებლობის საკითხი, მეურნეობის განვითარების შეჩერება და ეროვნული მრეწველობის მოსპობა.** აი ის ძირითადი მიზეზები, რომლის ირგვლივ უნდა მოიყაროს ყველა საჭირ-ვარაოთ საკითხებმა. მართალია, საქართველოს რესპუბლიკა წელიწადზე მეტია რაც დამოუკიდებლათ არსებობს, ის ჩვენის ფიქრით გაეხვია მსოფლიო ორბიტაში და იზიარებს იმ სახელმწიფოებრივ აზრს და მდგომარეობას, რომელსაც აქვს დღეს ადგილი გარეშე სახელმწიფოებში. ისინი ჩვენ არ გვცნობენ, ჩვენს ლაპარაკს არსად გასავალი არ აქვს; ამნაირად ჩვენ ვრჩებით განცალკევებული, გარიყული, არავინ ანგარიშს არ გვიწევს და, იმიტომაა, რომ ობლათ ვართ დარჩენილი და ხან ერთის და ხან მეორის სახელმწიფოს წითელ კვერცხივით სათამაშოდ ვხდებით.

საქართველოს დამოუკიდებლათ აღიარება წარმოშობდა სწორ ფინანსიურ-ეკონომიურ პრობლემებს, რომლის შემწეობითაც ჩვენც მსოფლიო ეკონომიურ სფეროში მოვხვდებოდით და ჩვენი წილიც დაიდებოდა საერთო სამსხვერპლოზე თავის საჭიროებისამებრ, დღეს ჩვენი მდგომარეობა უმწეოა ფინანსებს მხრივ. ქაღალდის ფულის ნიშნების გამრავლებამ ზღაპრული სიძვირე წარმოშვა. ვაჭრობა მრეწველობა გაყინულ წერტილზე სდგას, რამდენათ განვითარებულია, მით მეტი ღირებულება აქვს ქაღალდის ფულს. ასე რომ, ამ მხრივ საქართველო ცუდ და უნუგეშო მდგომარეობაშია. რევოლიუციურმა ტალღებმა მეურნეობის კულტურა გაანადგურა და ახალი ვერ შექმნა. ასე რომ, ყოველივე ზემოთჩამოთვლილი თეზისები შერყეულია და საჭიროა მათი გამობრუნება რომელიც წარმოშობს ჩვენს სახელმწიფოებრივ სიმტკიცეს და რეალურ ცხოვრების დანახვას. კიდევ ვიმეორებ, უპირველესი საკითხია საქართველოს დამოუკიდებლობა და მერე სხვა. დამოუკიდებლობასთან არის დაკავშირებული ყველაფერი, როგორც კი იცნობენ ჩვენს დამოუკიდებლობას, — საქართველო შეიქმნება ის ხიდი, რომელიც შეართებს აზიას და ევროპას; ამრიგად, აქ მოხდება შეჯახება ორ ქვეყნის შორის, საქართველო შეიქნება ევროპიელთათვის ბუდე და სა დაც თვით ისინი შეეცდებიან, რომ საქართველო იქნეს ყოველ მხრივ განვითარებული და ძლიერი. ასე რომ შიში იმის რომ საქართველო ვაჭრობა-მრეწველობის მხრივ განუვითარებელი დარჩება — მეტია.

აქ, ჩვენში მოხდება სახელმწიფოთა წარმოების შეჯიბრება, ყველა სახელმწიფო შეეცდება შეგვთავაზოს სამრეწველო იარაღები ნისიათაც კი; ვინაიდგან დარწმუნებულნი იქნებიან, რომ მალე გაინაღდებენ, რადგან ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე იქნება თავდები. ასე რომ, ზემოაღნიშნული მოსაზრებით დამოუკიდებლობის აღიარებით ჩვენს ბონებს დაედება ის ღირებულება, რაც დღეს ინგლისის სტერლინგს აქვს და შეიძლება მეტიც. მეორე ის რომ, კიდევ დამოუკიდებლობის შემდეგ არც ერთი სახელმწიფო არ დაიზარებს ჩვენ დახმარებას, ვინაიდან იმედი ექნებათ, რომ მომავალში ერთი ორათ მიენიჭებათ. მითქვამს ვამბობ და ვიტყვი რომ ქართველი ერი უნდა ეცადოს ეროვნული კაპიტალი შექმნას, ჩვენი შრომა და ენერგია.

ეროვნულ კაპიტალის განვითარებისკენ უნდა იქნეს მიმართული არა და სესხისკენ. თუ გვინდა რომ ეროვნული კაპიტალი განვითარდეს მომავალში ამ თავიდანვე უნდა შევეცადოთ სამრეწველო ბანკების დაარსებას, სამრეწველო ხასიათის აქციონურ საზოგადოებების გამრავლებას ე. ი. ამის ნიადაგზე ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას და ბანკ-სინდიკატის დაარსებას. განა საქართველოს ვაჭართა კლასს არ შეუძლია სამრეწველო ბანკის დაარსება? ნუ თუ ამისათვის მთელ საქართველოში კაპიტალი არ მოიძებნება? აქციონური საზოგადოებებს? ყველა ესენი შესაძლებელია, მაგრამ დღემდე სოციალიზმის პრინციპი ნებას არ გვაძლევდა. დღეს კი ყველანი სესხებისკენ ვიყურებით, სხვას შევჩერებივართ და გვინდა რომ უდროვოთ დავლიოთ სული. ყველანი უცხო კაპიტალის, სესხების მომხრენი არიან, თავდებათ აძლევენ სახელმწიფოს ბანკის მოგებას, საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეების შემოსავალს, და სხვა...

ასე რომ რაც შემოსავალი ექნება საქართველოს, ქართველ ერს, ეს სხვისთვის იქნება და ჩვენ კი... ესე იგი, ქართველმა ერმა ბ. დ. თოფურიძის მოხსენებით უნდა იმუშაოს ევროპიელებისათვის და შემდეგ კი მათი ყურმოჭრილი მონაც უნდა შევიქნეთ, თუ ვალს თავის დროზე პროცენტით ვერ გადვიხდით. საგულისხმიერო არის ბ. დ. თოფურიძის მოხსენებიდან ერთი რამ, ის ამბობს; საჭიროა სესხი ერთ მილიონ გირ. სტერლინგისა სერიების სახით, ერთი მილიონი გირ. სტერლინგი, რომელიც უდრის ჩვენს ეხლანდელ ბონს 600-700 მილიონს მეორე მილ. რომელიც დასჭირდება ბონების გამოყიდვას და მესამე მილიონი, დასჭირდება იმ დეფიციტის დაფარვას რომელიც წარმოშობილი იქნება ბიუჯეტის გადიდებით. ასე რომ, საქართველო თუ კი სესხს მიჰყოფს ხელს, საჭიროა როგორც მოხსენებიდან სჩანს **სამი** მილიონი გირ. სტერლინგი, რომელიც უდრის ჩვენს ფულზე ორ მილიარდს და მეტს. საქართველოს რომ ასეთი ვალი აიღოს, ის შესძლებს თავის გამოხსნას?? **მე მგონი არა**. არა იმიტომ, რომ ნასესხი ფულის მოგება საზღვარ გარედ წავა და ჩვენი მრეწველობაც ვალის გადახდამდის ისევ ხელახლა მოსაწყობი იქნება. გასაკვირი ანგარიში მოჰყავს ბ. დ თოფურიძეს ვალიუტის დამყარებისათვის ინგლისის ფულთან შედარებით; სადაც ამბობს რომ: ერთი გირ. სტერლინგი უდრის ჩვენს 600 მანეთს (ბონს), ფუთი პურის ფქვილი ღირს 200—300 მ. (ბონებით) ე. ი. ფუთი პურის ფქვილი დაჯდება ნახევარი გირ. სტერლინგი, რაიც შეედრება (ვალიუტას დამკვიდრების შემდეგ) ხუთ მანეთს ქართულ ფულს. — იმ სახელმწიფოში სადაც ფინანსიური საკითხი მოგვარებულია, ვაჭრობა-მრეწველობა განვითარებულია ერთი ფუთი პურის ფქვილი 5 მ. უნდა ღირდეს?! გასაოცარია როდესაც ამას ამბობს ბ. დ. თოფურიძე. მახსოვს ის დრო, როდესაც ხუთ მანეთად ერთი ცალი პირველი ხარისხის „გულიევის“ პურის ფქვილი იყიდებოდა. აი, სად ყოფილა ნამდვილი ვალიუტა!.. ამრიგად, ნურავის იმედი ნუ გვაქვს. ყოველი ღონე ვიხმაროთ, რომ დამოუკიდებლობა ჩვენი აღიარონ და შემდეგ კი თვით ეს დამოუკიდებლობა მოიტანს ყოველივე კარგს და მანამდის კი საჭიროა პოლიტიკური გზის გამოცვლა რაიც თავდები იქნება იმისი რომ საქართველო დამოუკიდებელი იქნება და დანარჩენი თვით მოეწყობა..

ნიკ. ახვლედიანი

გაგრძელება შემდეგში.

# ეროვნულ-დემოკრატების გამარჯვება კურსების თემში.

კვირას, 26 ოქტომბერს კურსების (ტყიბულის რაიონი) თემში მოხდა საერობო წვრილი ერთეულის არჩევნები.

სიები წარმოდგენილი ჰქონდა ს.-დემოკრატებს № 1. ერ.-დემოკრატებს № 2, ს.-რევ. № 3 და სოც.-ფედერალისტებს № 5.

ყუთები იდგა შემდეგ სოფლებში: კურსებში, ცუცხვათში, გელათ-მოწამეთაში და კოკა ნაბოსლევში.

კურსებში № 1 მიიღო—19 ხმა, № 2—89 ხმა, № 3—5 ხმა და № 5—1 ხმა. კოკა-ნაბოსლევში № 1—მიიღო 11 ხმა, № 2—99, № 3—3 და № 5—2 ხმა, ცუცხვათში № 1—1 ხმა, № 2—23, № 3—7 და № 5—3 ხმა. გელათში № 1—35 ხმა, № 2—34, № 3—0 და № 5—შვიდი ხმა.

სულ კურსების თემში № 1 მიიღო 66 ხმა, № 2—245 ხმა, № 3—15 ხმა და № 5—13 ხმა.

ამ რიგათ ს.-დემ. გაიყვანეს 4 ხმოსანი, ერ. დემოკ. 14 ხმოსანი და ს.-ფედერალისტებმა ს.-რევოლ. თითო ხმოსანი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ს.-დემოკრატებმა, სოც.-ფედერალისტებმა და ს.-რ. თითო კაცი ერ.-დემოკრატების მონარჩენი ხმებით გაიყვანეს, რადგანაც თვითოეულ ხმოსანს სჭირდებოდა 17 ხმა.

კურსებელი.

# თეატრი და ხელოვნება

მიმდინარე სეზონი ქუთაისის ... ერთ-ერთ საუკეთესო ... ნათ უნდა ჩაითვალოს მსახიობთ შემადგენლობის მხრივ. წელს ქუთ... თეატრს ამშვენებენ საუკეთესო ... თული სცენის მსახიობნი ი. ... დალიშვილი და ალ. იმედაშ... ეს ორი არტისტი კრიზისის ... მთელი პიესის ამოძრავებას ... ბენ ი. ზარდალიშვილი, ქა... საზოგადოებისთვის კარგათ ... ლი, ღრმა გრძნობიერი დრამა... ტრაგიკი და შეუდარებელი ... კოსი ალ. იმედაშვილი წელს ... ისის სცენაზე მოღვაწეობენ.

ხუთშაბათს 30 ნოემბერს იმედაშვილის მონაწილეობით ... აკოსტა წარმოადგინეს.

ეს ერთი უმძიმესი და რთულ... სათაგანია, რომელსაც მეტათ ... ლოვნებული მსახიობნი ... ამ პიესაში ალ. იმედაშვილი ... თლად, რომ თავის ალაგას იყო ... რომ მეოთხე მოქმედებაში ... ფხიზელი ელფერი არ შეეტანა ... საშუალზე ნაკლებ იქნებოდა ... გმული. კარგი იყო ყალაბეგი... რაბინის როლში. არა უშავ... მდივანს ივდითის როლში, თუ ... დველობაში არ მივიღებთ ... გილს სადა ის საწამლავით ... და.

ამ საღამოს ერთ ერთი თვალ... ნო როლი იოხაიმისა მ—ეს ... ეს ადამიანი ამ როლისთვის გა... დეგი არ იყო. ის ნახევრად პირებულ მონოლოგებს დაბალ... სას მოსწავლესავით უგრძნობლა... ბობდა. რასაკვირველია ამან შეუშალა მის პარტნიორს ი... ვილს რომელიც ვაცილებით ათასჯერ უკეთესი იქნებოდა იმის როლში, რომ მას ი. ზარ... შვილი ამოდგომოდა.

ერთი თვალსაჩინო სენი ქარ... მსახიობების როლის შეუსწავ... და მუდამ სუფლიორის ბუტ... ცქერა არის.

თუ მაყურებლებმა პირველ... ფლიორის ხმა გაიგონეს გრ... ერება და სილამაზე პიესის ... სამარებულია. ეს სენი კარგ... რაც დასჩემდა ჩვენ მსა... ებს. ევროპის თეატრებში ... ფლიორები მხოლოდ აქა იქ ... დახმარებას მსახიობებს, ჩვენში ... სუფლიორი თავის ბუტკაში საყვ... კითხულობს პიესას, რაც მეტ... ტათ ცუდ შთაბეჭდილებას სტ...

დასასრულს უნდა მოვაგონო... რაელის ქალებს რომ თეატრი ... ზოგადო საერო დაწესებულება ... და იქ ქოჩრით ერთი მეორის ... ვა და ლანძღვა-გინება სასტიკა... აკრძალული.

ბაქ...

**დავკარგე** 21 ოქტ... 1919 წელს წიგნაკი, რომელშიდაც იყო ... მანეთი ფული და სამხედრო ... რისაგან განთავისუფლების ბი... № 2661 მიღებული სამაზრო ... ხედრო უფროსისაგან 14 ო... ბერს 1919 წელს. დღეის რი... დან მოწმობას გაუქმებულათ ... ხადებ.

**დავკარგე** ენკენისთვეში ... ხრო სამხედრო მართველის მიერ მოცემული ... კაცობის მოწმობა ერთ წლიან... 278, 1919 წელს თებერვლის ... დღეის რიცხვიდან ხსენებულ... მობას გაუქმებულათ ვაცხად... გიორგი თადეოზის ძე კაშე...